შპს მარნეულის კოლეჯის პრაქტიკის კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ

2024, ოქტომბერი

თემის აქტუალობა

* პროფესიულ განათლებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ეთმობა პრაქტიკას/პრაქტიკის კომპონენტს.

* პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი სტუდენტებს უვითარებს იმ უნარებს, რომელიც მათ სჭირდებათ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს, პრაქტიკული სწავლების ფარგლებში კი სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, შეძენილი თეორიული ცოდნა გადაიტანონ პრაქტიკაში და განამტკიცონ.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხი

- პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის შეფასება პარტნიორი ორგანიზაციებისა და სტუდენტების მიერ.

კვლევის მიზნები

- პრაქტიკის/პრაქტიკის კომპონენტის შეფასება.
- პრაქტიკის/პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის შეფასება.

სამიზნე ჯგუფი

- შპს მარნეულის კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები და კოლეჯის სტუდენტები.

კვლევის მეთოდი

- კვლევის მეთოდად შერჩეული იყო შერეული კვლევა: თვისებრივი და რაოდენობრივი.

კვლევის მეთოდი

რაოდენობრივი კვლევა

- სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს პრაქტიკა/პრაქტიკის კომპონენტი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო არასტრუქტურირებული კითხვარი/ანკეტა.

თვისებრივი კვლევა

- სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების მენეჯერები და/ან პრაქტიკის ინსტრუქტორები.
- კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯში მოქმედი იმ ოთხი პროფესიული პროგრამის სტუდენტებმა, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკულ სწავლებას, კერძოდ:

ალმზრდელი

- I კურსი, 18 სტუდენტი - I მოდული
- I კურსი, 17 სტუდენტი - II მოდული
- II კურსი, 31 სტუდენტი - მხოლოდ ერთი მოდული

საექთნო განათლება

- III კურსი, 30 სტუდენტი - საექთნო განათლების კლინიკური მოდულების ფარგლებში

ფარმაცია (სააფთიაქო)

- II კურსი, 12 სტუდენტი - ოთხი მოდულის ფარგლებში

საფინანსო სერვისები

- I კურსი, 23 სტუდენტი - ერთი მოდულის ფარგლებში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკის ორგანიზაციისა და პრაქტიკის ინსტრუქტორის შეფასება:

- ძირითადი ნაწილის აზრით, პრაქტიკის ორგანიზაცია უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
- სტუდენტთა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აწვდიდა მათ ინფორმაციას უსაფრთხოების ნორმების, სანტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ.
- ორივე კურსის სტუდენტების ძირითადი ნაწილის აზრით, პრაქტიკის ინსტრუქტორი აძლევდა მათ უკუკავშის სხვადასხვა მიღწევებთან დაკავშირებით, ორგანიზებულად წარმართავდა პრაქტიკულ კომპონენტს და ყველა სტუდენტს თანაბარ ყურადღებას უთმობდა.
- პრაქტიკის ინსტრუქტორი პირველი კურსის სტუდენტებმა შეაფასეს 10,9,8,7,5 ქულებით, ხოლო მეორე კურსის სტუდენტთა სრულმა უმრავლესობამ შეაფასა 10 ქულით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი
- რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

პრაქტიკული სწავლების განმავლობაში მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა შეძლონ თეორიული ცოდნის დემონსტრაცია და გამოყენება.

სტუდენტთა ძირითადი ნაწილი იყენებდა მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკის განმავლობაში.

რამდენიმე სტუდენტის გარდა, სრული უმრავლესობისთვის საკმარისი აღმოჩნდა მიღებული თეორიული ცოდნა.

თეორიული ცოდნის არასაკმარისობასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ ინკლუზიურ ბავშვებთან ურთიერთობისას დასჭირდა პედაგოგის დახმარება, თუმცა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ გაცნობითი პრაქტიკის მოდულზე მოცემულ თემასთან დაკავშირებით სიღრმისეული ცოდნა არ მიუღია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკული კომპონენტის მრავალფეროვნების შეფასება და შესრულებული სამუშაოს წარდგენა:

* სტუდენტთა ძირითადი ნაწილის აზრით, პრაქტიკული კომპონენტი მრავალფეროვანი იყო.
* სტუდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაოს წარდგენა არ ხორციელდებოდა.
* დადებითი პასუსიხის მქონე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკეთებდნენ ჩანაწერებს, რომელსაც შემდგომ შესაბამის პირს წარუდგენდნენ ან ზეპირად ახსენებდნენ ყველაფერს ინსტრუქტორს



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

სტუდენტები აღწერენ პრაქტიკაზე ყოფნის ერთ დღეს - პირველი კურსის სტუდენტები ძირითადად დაკვირვების რეჟიმში იყვნენ, ხოლო მეორე კურსის სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობებში.

პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილი დრო უმრავლესობამ საკმარისად მიიჩნია, რამდენიმემ გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა დამატებით 1 თვე გაგრძელებულიყო ან კვირის განმავლობაში შეხვედრის სიხშირე გაზრდილიყო 4-5 დღეზე.

სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს პრაქტიკის მენეჯერის მიერ მათთვის გაწეული დახმარება და იგი 10,9 ქულით შეაფასეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

* აღმზრდელის პროგრამის ორივე კურსის სტუდენტებმა პრაქტიკული სწავლება გაიარეს 9 ორგანიზაციაში.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სამ ორგანიზაციაში:

1. ქ. მარნეულის N3 ბაგა-ბაღი
2. ქ. ბოლნისის N3 ბაგა-ბაღი
3. სოფ. საიმერლოს ბაგა-ბაღი

აღნიშნული ორგანიზაციები შევარჩიეთ იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტების ძირითადი ნაწილი მოცემულ ბაგა-ბაღებში იყო განაწილებული.

სამივე ორგანიზაციაში სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა პრაქტიკის ინსტრუქტორებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

ინსტრუქტორებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის მენეჯერმა მათ მიაწოდა ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია (მოდულები, სწავლის შედეგები), რაც სტუდენტებთან მუშაობის პროცესში სჭირდებოდათ.

ინსტრუქტორებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებთან ყოველდღიურ სწავლებას აღმზრდელის მიერ გაწერილი გეგმის მიხედვით აწარმოებდნენ.

სტუდენტებისგან განსხვავებით, ინსტრუქტორებმა აღნიშნეს, რომ დღის ბოლოს მათ შესრულებული სამუშაოს წარდგენა უწევდათ ზეპირი სახით.

ინსტრუქტორები აძლევდნენ უკუკავშირს სტუდენტებს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

ინსტრუქტორებმა დადებითად შეაფასეს სტუდენტების აქტიურობა

ინსტრუქტორებმა დადებითად შეაფასეს სტუდენტების მიერ გამოვლენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. (ერთადერთ ბარიერად დაასახელეს ზოგიერთი სტუდენტის შემთხვევაში ენის საკმარისად არცოდნა)

ინსტრუქტორებმა დადებითად შეაფასეს სტუდენტების ბავშვებთან ურთიერთობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

რეკომენდაციები:

* რეკომენდაციის სახით აღნიშნეს, რომ უმჯობესი იქნება, თუ სტუდენტები დღის მეორე ნახევარშიც დარჩებიან ორგანიზაციაში, რათა მთელი დღის განმავლობაში ყველა პროცესებში აქტიურად ჩაერთონ და დამოუკიდებლად უფრო მეტი დავალება შეასრულონ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკის ორგანიზაციისა და პრაქტიკის ინსტრუქტორის შეფასება:

- ძირითადი ნაწილის აზრით, პრაქტიკის ორგანიზაცია უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
- სტუდენტთა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აწვდიდა მათ ინფორმაციას უსაფრთხოების ნორმების, სანტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ.
- ყველა სტუდენტი აღნიშნავს, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აძლევდა მათ უკუკავშის სხვადასხვა მიღწევებთან დაკავშირებით, ორგანიზებულად წარმართავდა პრაქტიკულ კომპონენტს და ყველა სტუდენტს თანაბარ ყურადღებას უთმობდა.
- პრაქტიკის ინსტრუქტორი სტუდენტთა უმრავლესობამ შეაფასა 10,9,8 ქულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველო განათლება – რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

პრაქტიკული სწავლების განმავლობაში მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა შეძლონ თეორიული ცოდნის დემონსტრაცია და გამოყენება.

→

სტუდენტთა 65% იყენებდა მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკის განმავლობაში.

→

რამდენიმე სტუდენტის გარდა, სრული უმრავლესობისთვის საკმარისი აღმოჩნდა მიღებული თეორიული ცოდნა.

თეორიული ცოდნის არასაკმარისობასთან დაკავშირებით, მაგალითის სახით დააფიქსირეს, რომ ზუსტად არ იცოდნენ, როგორ უნდა განეხორციელებინათ ლიქვორის ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკული კომპონენტის მრავალფეროვნების შეფასება და შესრულებული სამუშაოს წარდგენა:

* სტუდენტთა 67%-ის აზრით, პრაქტიკული კომპონენტი მრავალფეროვანი იყო.
* სტუდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაოს წარდგენა ხდებოდა.
* შესრულებულ სამუშაოს დღის ბოლოს აღწერდნენ პრაქტიკის ჟურნალში, რომელსაც შემდგომ ინსტრუქტორს აჩვენებდნენ.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

სტუდენტები აღწერენ პრაქტიკაზე ყოფნის ერთ დღეს - პასუხებით დგინდება, რომ ისინი არამხოლოდ აკვირდებოდნენ პროცესებს და სწავლის რეჟიმში იყვნენ, არამედ თავადაც ბევრი საპასუხისმგებლო საქმის შესრულება უწევდათ.

↓

პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილი დრო უმრავლესობამ საკმარისად მიიჩნია, რამდენიმემ გამოთქვა აზრი, რომ რეანიმაციისა და ფსიქიატრიის განყოფილებისთვის უმჯობესი იქნებოდა დამატებით 4 კვირა.

↓

სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს პრაქტიკის მენეჯერის მიერ მათთვის გაწეული დახმარება და იგი 10,9 ქულით შეაფასეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

* საექთნო განათლების პროგრამის სტუდენტებმა პრაქტიკული სწავლება გაიარეს 4 ორგანიზაციაში.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სამ ორგანიზაციაში:

1. ავერსის კლინიკა (ქ. მარნეული)
2. ჯეო ჰოსპიტალი (ქ. მარნეული)
3. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი (ქ.თბილისი)

ავერსისა და ჯეო ჰოსპიტალის შემთხვევაში კვლევა ჩატარდა პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, ხოლო ფსიქიატრიულის შემთხვევაში, პრაქტიკის მენეჯერთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

- ინსტრუქტორებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით, ნაწილდებოდნენ შესაბამის განყოფილებებში განსაზღვრული დროით.
- ინსტრუქტორებმა პრაქტიკის მენეჯერისგან მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი მოდულების ფარგლებში უნდა გაევლოთ სტუდენტებს პრაქტიკული სწავლება.

- სტუდენტებთან კომუნიკაცია ყოველდღიურად ჰქონდათ.
- ინსტრუქტორები სტუდენტებთან ყოველდღიურ სწავლებას კოლეჯის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გეგმავდნენ.

- ისინი ყოველთვის აძლევდნენ უკუკავშირს სტუდენტებს.
- ინსტრუქტორებმა დადებითად შეაფასეს სტუდენტების მიერ გამოვლენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

- პრაქტიკის მენეჯერმა სტუდენტთა შეფასების ფორმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თითოეულ ინსტრუქტორს ჰქონდა სპეციალური ფორმა, სადაც ავსებდნენ სტუდენტების დასწრებებსა და მიღწევებს.

- მენეჯერის აზრით, პრაქტიკის კომპონენტისთვის დათმობილი დრო საკმარისი იყო.
- მენეჯერმა დადებითად შეაფასა სტუდენტების აქტიურობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თუმცა აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ სათანადო ცოდნა ფსიქიატრიისა და ფსიქიკური ჯამრთელობის პაციენტების შესახებ.
- მენეჯერმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ზედმიწევნით იცავდნენ უსაფრთხოების ნორმებს, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაცვის ნორმებს, პროფესიული ეთიკის ნორმებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

რეკომენდაციები:

* რომ უმჯობესი იქნება, თუ კოლეჯში ფსიქიატრიის მოდულის სწავლების დროს მასში ჩაშლილი იქნება პრაქტიკული კომპონენტები, რათა სტუდენტებს უფრო მეტი წარმოდგენა შეექმნათ აღნიშნული მიმართულების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკის ორგანიზაციისა და პრაქტიკის ინსტრუქტორის შეფასება:

- ყველა სტუდენტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ორგანიზაცია უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
- სტუდენტთა სრულმა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აწვდიდა მათ ინფორმაციას უსაფრთხოების ნორმების, სანტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ.
- ყველა სტუდენტი აღნიშნავს, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აძლევდა მათ უკუკავშის სხვადასხვა მიღწევებთან დაკავშირებით, ორგანიზებულად წარმართავდა პრაქტიკულ კომპონენტს და ყველა სტუდენტს თანაბარ ყურადღებას უთმობდა.
- პრაქტიკის ინსტრუქტორი სტუდენტთა უმრავლესობამ შეაფასა 10 ქულით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) – რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

სტუდენტთა 80% იყენებდა მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკის განმავლობაში და ასევე მათი აზრით, პრაქტიკული კომპონენტი მრავალფეროვანი იყო

მხოლოდ ერთის გარდა, ყველა სტუდენტისთვის საკმარისი აღმოჩნდა მიღებული თეორიული ცოდნა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) – რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკული კომპონენტის მრავალფეროვნების შეფასება და შესრულებული სამუშაოს წარდგენა:

სტუდენტთა უმეტესობამ (60%) აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაოს წარდგენა უწევდათ, თუმცა ამის კონკრეტული მაგალითები ვერ დაასახელეს.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

სტუდენტებმა ასევე აღწერეს პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის ერთი დღე, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ ყველა შესაბამისი წესის დაცვით ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს.

გამოკითხულთა ძირითადი ნაწილის აზრით, საკმარისი იყო პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი დრო

სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს პრაქტიკის მენეჯერის მიერ მათთვის გაწეული დახმარება და იგი 10,9 ქულით შეაფასეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

* ფარმაციის პროგრამის სტუდენტებმა პრაქტიკული სწავლება გაიარეს 5 ორგანიზაციაში.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ორ ორგანიზაციაში:

1. ფარმადეპო (ქ. მარნეული)
2. ინდივიდუალური მეწარმის აფთიაქი (ქ. მარნეული)

სხვა ორგანიზაციებთან ინტერვიუ ვერ ჩატარდა იქითან გამომდინარე, რომ თითო ან 1-2 სტუდენტი იყო განაწილებული მათთან.

ორივე ორგანიზაციის შემთხვევაში გამოკითხულ იქნნენ ინსტრუქტორები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

- ინსტრუქტორებმა პრაქტიკის მენეჯერისგან მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტი მივიდოდა მათ ორგანიზაციაში და რა თემების ირგვლივ უნდა გაევლოთ მათ პრაქტიკული სწავლება.
- იცნობდნენ სწავლის შედეგებს, რომლის ფარგლებშიც გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკის კომპონენტს.
- ინსტრუქტორებს ყოველდღიურად ჰქონდათ კომუნიკაცია სტუდენტებთან.
- მათი აზრით, პრაქტიკის კომპონენტისთვის დათმობილი დრო საკმარისი იყო.
- ინსტრუქტორები სტუდენტებს ყოველთვის აძლევდნენ უკუკაშირს შესრულებული სამუშაოს შესახებ.
- ორივე ინსტრუქტორი დადებითად აფასებს სტუდენტების მიერ გამოვლენილ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

რეკომენდაციები და ცვლილებები:

* ინსტრუქტორებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკული სწავლების უფრო ხარისხიანად განხორციელებისთვის, საჭიროა სტუდენტთა გაცდენების უფრო მკაცრი კონტროლი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები
– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკის ორგანიზაციისა და პრაქტიკის ინსტრუქტორის შეფასება:

- სტუდენტთა ძირითადმა ნაწილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ორგანიზაცია უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
- სტუდენტთა 65%-მა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აწვდიდა მათ ინფორმაციას უსაფრთხოების ნორმების, სანტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ.
- სტუდენტთა 53% აღნიშნავს, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი აძლევდა მათ უკუკავშის სხვადასხვა მიღწევებთან დაკავშირებით, 80%-ზე მეტი აფიქსირებს, რომ პრაქტიკის ინსტრუქტორი ყველა სტუდენტს თანაბარ ყურადღებას უთმობდა.
- ინსტრუქტორის გაწეულ დახმარებასა და კონსულტაციას აფასებენ საკმაოდ მრავალფეროვნად, კერძოდ, 10,9,8,7,6,5 ქულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები – რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

სტუდენტთა 70% იყენებდა მიღებულ თეორიულ ცოდნას. უმეტესი ნაწილის აზრით, არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის დროს მიღებული თეორიული ცოდნა არასაკმარისი აღმოჩენილიყო

სტუდენტთა ნახევარი (50%) თვლიდა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მრავალფეროვანი იყო, ხოლო ნახევარის აზრით, არ იყო.

მაგალითის სახით დააფიქსირეს, რომ ლიბერთი ბანკში უფრო რთული და განსხვავებული სიტუაცია იყო, რაც აქ არ გაუვლით, ასევე აღნიშნეს, რომ პრაქტიკის ობიექტზე ასრულებდნენ სხვა სამუშაოებს, რაც აქ არ უსწავლიათ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკული კომპონენტის მრავალფეროვნების შეფასება და შესრულებული სამუშაოს წარდგენა:

სტუდენტთა (60%)-მა აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაოს წარდგენა უწევდათ. მაგალითის სახით ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ დღის ბოლოს გადიოდა შემოწმებას ინსტრუქტორთან.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები

– რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

სტუდენტებმა ასევე აღწერეს პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის ერთი დღე. ნაწილმა დააფიქსირა, რომ მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ ოპერატორის სამუშაო პროცესს, თუმცა თავად არაფერს ასრულებდნენ. სხვებმა აღნიშნეს, რომ ყველაფერს ზედამხედველობის ქვეშ ასრულებდნენ.

გამოკითხულთა 40%-ის აზრით, არ იყო საკმარისი პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი დრო და უმჯობესი იქნებოდა ერთი თვე გაგრძელებულიყო, ან დღის განმავლობაში 3-4 საათის ნაცვლად 7-8 საათი ყოფილიყვნენ პრაქტიკაზე.

სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს პრაქტიკის მენეჯერის მიერ მათთვის გაწეული დახმარება და იგი 10,9,8,7 ქულებით შეაფასეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

* საფინანსო სერვისების პროგრამის სტუდენტებმა პრაქტიკული სწავლება გაიარეს 3 ორგანიზაციაში.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სამივე ორგანიზაციაში:

1. შპს გორგიას ჰიპერმარკეტი (ქ. მარნეული)
2. შპს ნოვას ჰიპერმარკეტი (ქ. მარნეული)
3. ლიბერთი ბანკი (ქ. მარნეული)

ლიბერთი ბანკისა და გორგიას ორგანიზაციაში გამოკითხულ იქნნენ მენეჯერები, ხოლო ნოვას შემთხვევაში გამოკითხულ იქნა ინსტრუქტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

- მენეჯერებმა აღნიშნეს, მათი ორგანიზაცია ჩართული იყო სტუდენტთა შეფასების აქტივობაში, თუმცა თავად ისინი ამ პროცესში არ იღებდნენ მონაწილეობას.
- სტუდენტებთან ყოველდღიურად მიმდინარეობდა კომუნიკაცია.
- ორივე მენეჯერმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტისთვის დათმობილი დრო საკმარისი იყო, თუმცა ლიბერთი ბანკის მენეჯერმა ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტები არ იყვნენ საკმარისად დაინტერესებულნი, რათა სრულფასოვნად ესწავლათ ყველაფერი.
- მენეჯერებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებს შესრულებული სამუშაოს წარდგენა არ უწევდათ.
- სტუდენტებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესებსა და სანიტარულ ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით, ასევე გააცნეს ორგანიზაციის წესები და რეგულაციები.
- ლიბერთი ბანკის მენეჯერმა უარყოფითად შეაფასა სტუდენტთა მოტივაციის დონე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები

- თვისებრივი კვლევის მონაცემები

- პრაქტიკის ინსტრუქტორმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის მენეჯერისგან სტუდენტების სიასა და მუშაობის გრაფიკთან დაკავშირებით მიიღო ინფორმაცია.
- ინსტრუქტორის თქმით, სტუდენტებთან ყოველდღიური სწავლება მუშაობის ხასიათსა და გარემოებაზე იყო დამოკიდებული, კონკრეტული გეგმა არ ჰქონია.
- სტუდენტები დამოუკიდებლად არ ასრულებდნენ დავალებებს.
- ინსტრუქტორმა დადებითად შეაფასა სტუდენტების მიერ გამოვლენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

რეკომენდაციები და ცვლილებები:

* საჭიროა სტუდენტების სიღრმისეული კონსულტირება პროფესიული მიზნების გათვითცნობიერებასთან დაკავშირებით.
* უმჯობესი იქნება კოლეჯმა თავად კოლეჯის შიგნითაც უზრუნველყოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლება გარკვეულ დონეზე, რათა შემდგომ პრაქტიკის ობიექტზე უფრო მომზადებულები მივიდნენ.
* ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის მოდულის სწავლებას უფრო დიდი დრო უნდა დაეთმოს, რათა სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე მომზადებულები მივიდნენ.
* სასურველია კოლეჯმა მკაცრად გააკონტროლოს სტუდენტების დასწრება პრაქტიკის ობიექტზე.